ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ანგლისტიკა/ English Studies

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
1. ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი / Master of Arts in English Philology
2. ლექსიკოგრაფიის მაგისტრი/ Master of Arts in Lexicography
3. ბრიტანეთისმცოდნეობის მაგისტრი/ Master of Arts in British Studies

სპეციალობა/სპეციალიზაცია: ინგლისური ფილოლოგია/ლექსიკოგრაფია/ ბრიტანეთისმცოდნეობა

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: პროგრამა შედგება **120** კრედიტისაგან. აქედან **30** კრედიტი ეთმობა ოთხივე მოდულისათვის საერთო სავალდებულო საგნებს. სამაგისტრო პროგრამის მოდულების სავალდებულო სასპეციალიზაციო საგნებისათვის განსაზღვრულია **30** კრედიტი; **30** კრედიტი კი ეთმობა სასპეციალიზაციო არჩევით საგნებს. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი საგნები ნაწილდება სამ სემესტრზე. დარჩენილი **30** კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს, რომელსაც მაგისტრანტი მეოთხე სემესტრის ბოლოს იცავს.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე მოქმედი ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაგისტრი, რომელსაც ექნება ფილოლოგიური, ლექსიკოგრაფიული და ქვეყანათმცოდნეობითი კომპეტენციები, მის მიერ არჩეული მოდულის მიხედვით და მის ფარგლებში. პროგრამა ინარჩუნებს და აძლიერებს, ერთი მხრივ, საქართველოში ტრადიციულად არსებულ სამეცნიერო–კვლევითი სკოლის ტრადიციებს დასავლეთ ევროპულ ფილოლოგიაში და ამზადებს მაგისტრს როგორც ფილოლოგიური (ზოგად-ფილოლოგიური და შედარებით-შეპირისპირებითი მიმართულებით), ისე ლექსიკოგრაფიული და ქვეყანათმცოდნებითი კომპეტენციებით. პროგრამა ეყრდნობა დარგისთვის წაყენებული თანამედროვე მოთხოვნებს როგორც ფილოლოგიური და ლექსიკოგრაფიული, ისე ქვეყანათმცოდნეობის (ბრიტანეთისმცოდნეობის) თვალსაზრისით.

ზემოთქმულის გათალისწინებით, პროგრამის მიზანია, მისცეს მაგისტრს ღრმა და სისტემური ცოდნა ანგლისტიკის დარგში, მოამზადოს ის როგორც ანგლისტი, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და კვლევითი უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას როგორც სამეცნიერო არეალზე, ასევე პრაქტიკულ–გამოყენებით სფეროებში.

ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა ემყარება და აგრძელებს საუნივერსიტეტო ტრადიციებს, სადაც, დღიდან დაარსებისა, დასავლეთ ევროპის ფილოლოგია ზოგადად და კერძოდ, ინგლისური ფილოლოგია, ანგლისტიკა მნიშვნელოვანი სამეცნიერო დარგია. ამის გამო, პროგრამა კარგად იცნობს და ითვალისწინებს ზოგადად ბრიტანული და ინგლისურად მოლაპარაკე ქვეყნების ფილოლოგიის კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს, მსოფლიო ლექსიკოგრაფიისა და ანგლისტიკის (ბრიტანისტიკის) სასწავლო და კვლევითი ცენტრების გამოცდილებას.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ანგლისტიკის** სამაგისტრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო და კვლევითი კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა და მაგისტრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ანგლისტიკის** სამაგისტრო პროგრამის მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და სტრატეგიულ ხედვას - უზრუნველყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული **ინტერდისციპლინარული** განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

პროგრამა ოთხი მოდულისაგან შედგება, ესენია: **ინგლისური ენის თეორია, ინგლისური ლიტერატურა, ენა და ლექსიკოგრაფია და ბრიტანეთისმცოდნეობა.** სამაგისტრო პროგრამის ინგლისური ენის თეორიისა და ინგლისური ლიტერატურის მოდულების სასწავლო მასალა ინგლისურენოვანია; ენისა და ლექსიკოგრაფიისა და ბრიტანეთისმცოდნეობის მოდულების ზოგიერთი კურსი კი მთლიანად ინგლისურ ენაზე იკითხება. პროგრამა მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც ექნება სრულყოფილი და ღრმა ცოდნა ინგლისური ენის თეორიის, ინგლისური ლიტერატურის, ლექსიკოგრაფიისა და ბრიტანეთის თანამედროვე კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის შესახებ. პროგრამაში გაერთიანებული ყველა მოდულისათვის პრაქტიკული ინგლისური ენის კურსი არის ერთ–ერთი ძირითადი საგანი, რომელიც მაგისტრატურაში გულისხმობს პრაქტიკული ინგლისური ენის ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებული ცოდნისა და კონტექსტურ-სიტუაციური აქტუალიზაციის ადეკვატური უნარ-ჩვევების სრულყოფას. პროგრამა იზიარებს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ინგლისური ენა განიხილება არა როგორც მხოლოდ პრაქტიკულად დასაუფლებელი სასწავლო საგანი (ამას ემსახურება მისთვის გამოყოფილი 15 კრედიტი, რომლის დაძლევის შემდეგაც მაგისტრანტის პრაქტიკული ცოდნა ინგლისურ ენაში უნდა პასუხობდეს საერთო ევროპული ჩარჩოს C1 დონეს), არამედ როგორც გასაღები და საშუალება ბრიტანული კულტურის, ბრიტანეთის ისტორიისა თუ საზოგადოების კანონზომიერებების შესასწავლად. **პროგრამის შინაარსში** გათვალისწინებულია დიდი ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.(Benchmark Statements- Languages and Related Studies) http://www.qaa.ac.uk/academicinfrastructure/benchmark/honours/

უფრო კონკრეტულად, **ინგლისური ენის თეორიის მოდული** ითვალისწინებს სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც ექნება ღრმა და სრულყოფილი ცოდნა როგორც თანამედროვე სალაპარაკო ინგლისური ენის განვითარების ტენდენციების, ისე ტრადიციული (ამას ემსახურება ლინგვისტური აზროვნების ევოლუციის შესწავლა), ასევე თანამედროვე ინგლისურენოვანი ენათმეცნიერული მიმართულებების (როგორიცაა ლექსიკური სემანტიკა, პრაგმატიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, კოგნიტიური ლინგვიტიკა, დისკურსისა და მეტაფორის თეორიები) შესახებ. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მაგისტრის კონკურენტუნარობასა და დასაქმებას. ამ მოდულის ენობრივ სპეციალიზაციაში თავიდანვე გათვალისწინებულია კემბრიჯის უნივერსიტეტში არსებული: ა) ინგლისური ენის ფაკულტეტის და ბ) ინგლისური ენისა და გამოყენებითი ლინგვისტიკის კვლევითი

ცენტრის გამოცდილება(Cambridge University. Faculty of English. Research Centre for English and Applied Linguistics) http://www.rceal.cam.ac.uk/; **ინგლისური ენის თეორიის** მოდულის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრანტს მიენიჭება **ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრის** კვალიფიკაცია.

ინგლისური ლიტერატურის მოდული, რომელიც ეყრდნობა ოქსფორდის უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამას ლიტერატურის ისტორიაში, ითვალისწინებს ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე მიმართულებების შესახებ საფუძვლიანი და კონკურენტუნარიანი ცოდნის მიცემას, რაც მაგისტრანტს საშუალებას მისცემს წარმატებით დასაქმდეს და აწარმოოს კვლევა ინგლისურენოვანი ლიტერატურის მისთვის საინტერესო მიმართულებით. **ინგლისური ლიტერატურის** მოდულის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრანტს მიენიჭება **ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრის** კვალიფიკაცია.

ენისა და ლექსიკოგრაფიის მოდული მიზნად ისახავს კადრების მომზადებას ორენოვანი, თარგმნითი (ინგლისურ-ქართული) ლექსიკოგრაფიისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს იმ დიდი ხარვეზის გამოსწორებას, რაც დღეს არსებობს ამ სფეროში. ამ მოდულის პროგრამა შესაძლებლობას აძლევს მაგისტრანტს მიიღოს ღრმა და ამომწურავი ცოდნა ლექსიკოგრაფიის თეორიასა და პრაქტიკაში. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია როგორც უშუალოდ ლექსიკოგრაფიული (თეორიული და პრაქტიკული), ისე ზოგად-ლინგვისტური საგნების (მაგალითად, სემასიოლოგიის, სოციოლინგვისტიკის, პრაგმატიკის) შესწავლა, ქართული და ინგლისური ენების ცოდნის მნიშვნელოვანი სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს პროფესიონალი ლექსიკოგრაფების აღზრდას და მათ წარმატებით დასაქმებას ლექსიკოგრაფიულ ასპარეზზე. ანალოგიური პროგრამები არსებობს ბირმინგემის, ათენისა და სხვა უნივერსიტეტებში. www.cels.bham.ac.uk/prospectus/inhouse MA/MA LangandLex.htm;
www.enl.uoa.gr/swf/en_indexloader.html. **ენისა და ლექსიკოგრაფიის** მოდულის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრანტს მიენიჭება **ლექსიკოგრაფიის მაგისტრის** კვალიფიკაცია.

ბრიტანეთისმცოდნეობის მოდული ასევე პასუხობს თანამედროვე პრიორიტეტულ პრობლემატიკას და მაგისტრანტს აძლევს ფართო მულტიდისციპლინარული კვლევის საშუალებას, ზრდის მისი კომპეტენციის დონესა და ხარისხს, რითაც აფართოვებს მისი მომავალი დასაქმების შესაძლებლობებს. სამაგისტრო მოდულის მიზანია მაგისტრანტს მისცეს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ბრიტანეთის ისტორიის, მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოწყობის, კულტურული და ეთნიკური თავისებურებების შესახებ, ბრიტანეთის ადგილისა და მისი მისიის შესახებ ზოგადევროპულ კონტექსტში. ანალოგიური პროგრამა არსებობს ვორვიკისა და ამსტერდამის უნივერისტეტებში: http://www.english.uva.nl/start.cfm; **http://www.uni-vt.bg/2/?zid=6&c=str**
ბრიტანეთისმცოდნეობის მოდულის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრანტს მიენიჭება **ბრიტანეთისმცოდნეობის მაგისტრის** კვალიფიკაცია.
გარდა მოდულების სავალდებულო საგნებით მიღებული კომპეტენციებისა თითოეული მოდულის მაგისტრანტს შეუძლია არჩევითი საგნის სტატუსით შეისწავლოს მეორე უცხო ენა, გაიღრმავოს დარგობრივი ცოდნა საკუთარი მოდულის არჩევითი საგანების საშუალებით ან აირჩიოს სხვა მოდულების ნებისმიერი საგანი საკუთარი მოდულის არჩევითი საგნის სტატუსით და შეიძინოს დამატებითი კომპეტენციები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში და მათ დარგებში/ქვედარგებში, განათლებაში, ზოგიერთ მიმართულებათშორის დარგში, მაგ.,

რეგიონმცოდნეობითი პროფილით (ამერიკისმცოდნეობა, აღმოსავლეთმცოდნეობა, კავკასიოლოგია...), კულტურის კვლევები...; სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი; ენისა და ლექსიკოგრაფიის მოდულისთვის სავალდებულოა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა/ფილოლოგიის ბაკალავრის ხარისხი სპეციალობით ინგლისური ფილოლოგია.

- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- სასპეციალიზაციო გამოცდა, რომელიც ტარდება სპეციალობების მიხედვით, ინგლისური ენის თეორიასა და ლიტერატურაში/ლექსიკოგრაფიის თეორიასა და ისტორიაში/ ბრიტანეთისმცოდნეობაში.
- ინგლისური ენის ცოდნის B2 დონეზე დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატის წარმოდგენით.
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის პროგრამაზე მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
- სასურველია, კონკურსანტს მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული სამეცნიერო კონფერენციაში. თანაბარ პირობებში ეს ჩაითვლება კონკურსანტის უპირატესობად სხვა კანდიდატებთან შედარებით.

სწავლის შედეგი:

ცოდნა-გაცნობიერება:

პროგრამისთვის სართო ზოგადი კომპეტენციები:

ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული პროგრამის სავალდებულო, მოდულის სავალდებულო და მოდულის არჩევითი დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე მაგისტრს აქვს მის მიერ მაგისტრატურაში არჩეული სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა: კერძოდ, პროგრამის სავალდებულო საგნები უზრუნველყოფს: ინგლისური ენის თეორიული სისტემისა და პრაქტიკული სტრუქტურების ფლობის მაღალი (C1) დონეს, ყველა იმ კომპონენტის გათვალისწინებით, რასაც ეს დონე გულისხმობს ენის შესწავლისა და მოქმედების ოთხივე ასპექტში (საუბარი, წერა, მოსმენა და კითხვა); ინტერკულტურული კომუნიკაციის საკვანძო ლინგვისტური საფუძვლების სისტემურ, ღრმა ცოდნას, რომელზე დაყრდობითაც მაგისტრანტი ახერხებს ახალი, ორიგინალური გზების ძიებას ინტერკულტურულ კომუნიკაციასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად; სიღრმისეული ცოდნა ინგლისური ენის ევოლუციისა საერთო გერმანიკული პერიოდიდან თანამედროვე ეპოქამდე, ღრმა და ყოვლისმომცველი ცოდნა იმ საერთო ნიშნებისა, რაც ინგლისურ ენას აერთიანებს, ერთის მხრივ, გერმანიკულ ენებთან, მეორეს მხრივ კი სხვა ევროპულ ენებთან; ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და თავის მიერ არჩეულ დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; არჩევის შემთხვევაში, ფლობს ერთ-ერთ სხვა უცხო ენას სულ მცირე B1 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით და შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება აკადემიური, კვლევითი და საკომუნიკაციო მიზნებისთვის.
გარდა ამისა, არჩეული მოდულის ფარგლებში, მაგისტრი ფლობს მოდულისათვის სპეციფიკურ დარგობრივ კომპეტენციებს, კერძოდ:

ინგლისური ენის თეორიის მოდული:

დასავლეთ ევროპის ლინგვისტური აზროვნების ევოლუციის გადამწყვეტი ეტაპების, ლინგვისტურ ცვლილებათა მექანიზმების შესახებ ამომწურავი, ღრმა ცოდნა; ენათმეცნიერების თანამედროვე თეორიების (ლექსიკური სემანტიკის, პრაგმატიკის, ტექსტის ლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, კოგნიტიური და ფუნქციონალური ლინგვისტიკის, მეტაფორის თორიის, კომუნიკაციური ლინგვისტიკის) შესახებ ღრმა და ამომწურავი ცოდნა; ლინგვისტური აზროვნების ევოლუციისა და ინგლისური ენის განვითარების თანამედროვე ტენდენციების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა;

ინგლისური ლიტერატურისა და ბრიტანული კულტურის ძირითადი და საკვანძო მოვლენების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა; ენის სოციალური ბუნებისა და მისი განვითარების ტენდენციების ცოდნა კულტურული და ეროვნული იდენტურობის საფუძველზე; დისკურსის შესახებ კრიტიკული თეორიების ამომწურავი, სიღრმისეული ცოდნა, პრაგმატიკისა და დისკურსის კვლევის მეთოდების ღრმა ცოდნა და ზემოთაღწერილ ყველა მიმართულებით, დარგის სპეციფიკის ფარგლებში, კონკრეტული პრობლემის ორიგინალური გადაწყვეტის უნარი; თანამედროვე მეტაფორის თეორიის უახლესი პარამეტრებისა და კომუნიკაციური ლინგვისიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ. ამის გამო, მაგისტრს ხელეწიფება მიღებულ ღრმა ცოდნაზე დაყრდნობით შეიმუშავოს ახალი, ორიგინალური იდეები, გააცნობიეროს ცალკეულ, ინგლისური ენის თეორიასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზები;

ინგლისური ლიტერატურის მოდული:

ინგლისური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ღრმა, სისტემური და საფუძვლიანი ცოდნა მათი ლინგვისტურ და სოციოკულტურულ კონტექსტში გააზრებით; ღრმა და ამომწურავი ცოდნა როგორც ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსების (ჩოსერის, შექსპირის, მილტონის), ასევე ინგლისური მოდერნისტული ლიტერატურისა და, ასევე, უახლესი ლიტერატურული პროცესის შესახებ. შეუძლია მიღებულ ღრმა ცოდნაზე დაყრდნობით შეიმუშავოს ახალი, ორიგინალური იდეები, გააცნობიეროს ცალკეული, ინგლისურ ლიტერატურასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზები;

ენისა და ლექსიკოგრაფიის მოდული

ენისა და ლექსიკოგრაფიის მოდულის არჩევის შემთხვევაში, მაგისტრი ფლობს: სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის თემატიკასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხების ღრმა ცოდნას; კომპონენტური ანალიზის მეთოდის, დეფინიციათა ანალიზის მეთოდის, კონტექსტუალური ანალიზისა და სხვა მეთოდების გამოყენების შესახებ ღრმა, სისტემური ცოდნა სიტყვის მნიშვნელობის, მისი პოლისემიის, ეტიმოლოგიის, სტილისტური შეფერილობისა თუ სხვა მახასიათებლების გასახსნელად და სიღრმისეულად გასაანალიზებლად; მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული ლექსიკოგრაფიული პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნა განმარტებითი, თარგმნითი, დარგობრივი, ფრაზეოლოგიური, სლენგური და სხვა ტიპის ლექსიკონების შესადგენად; სისტემური ცოდნა ინგლისური და ქართული ლექსიკოგრაფიული ტრადიციებისა და ამ ტრადიციების წიაღში აღმოცენებული უმნიშვნელოვანელი ლექსიკოგრაფიული ნაწარმოებებისა; სიტყვა-სტატიის ყოველი კომპონენტის გამოკვლევის მეთოდების ღრმა და სისტემური აღქმა და მათი ადეკვატური გამოყენება დასამუშავებელი მასალის კრიტიკული ანალიზის დროს. სიტყვის დაწერილობის, წარმოთქმის, გრამატიკული მახასიათებლების, სემანტიკური სტრუქტურის, პოლისემანტური მნიშვნელობების, ფრაზეოლოგიური ერთეულების, დროითი, სტილისტიკური, რეგიონალური კვალიფიკაციების დადგენისათვის საჭირო სისტემური თეორიული ცოდნა; სიტყვა-სტატიის სტრუქტურის, მისი ძირითადი კომპონენტების სისტემური ცოდნა, როგორც ზოგადი, ისე ტერმინოლოგიური ლექსიკისათვის; ამ სისტემურ ცოდნაზე დაყრდონიბთ მაგისტრანტს შეუძლია ცალკეული, დარგის სპეციფიკასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზის მოძიება და რეალიზება.

ბრიტანეთისმცოდნეობის მოდული

ბრიტანეთისმცოდნეობის მოდულის არჩევის შემთხვევაში მაგისტრს აქვს ღრმა, ამომწურავი და სისტემური ცოდნა ბრიტანეთისმცოდენობის ინტერდისციპლინარულობის შესახებ, ბრიტანეთის თანამედროვე საზოგადოების, მისი საზოგადოებრივი მოწყობის, პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, ლიტერატურისა და ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ; ბრიტანეთის თანამედროვე

ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობებისა და მისი გლობალური სტატუსისა და როლის შესახებ ევროპასა და მსოფლიოში; ბრიტანულ-ქართული ლიტერატურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ.
ყოველივე ეს მას საშუალებას აძლევს მოიძიოს დარგის სპეციფიკასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზები და გახდეს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:
ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია მის მიერ არჩეულ დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, **ორიგინალური გზების ძიება, მათ** შორის, კვლევის **დამოუკიდებლად** განხორციელება **უახლესი** მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი კვლევითი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტის განხორციელება. პროგრამით მიღებული შესაბამისი ღრმა და სისტემური ჰუმანიტარული ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს ლინგვისტური, ლიტერატურული, ისტორიული და სოციალური პროცესების შეფასებისა და ანალიზის უნარი; ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.
მაგისტრს შეუძლია ინგლისური ენის, არჩევის შემთხვევაში სხვა უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, აქვს საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები, ინგლისურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის, სამეცნიერო ლიტერატურის) წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი, C1 დონეზე. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ამ ენების ფართო აკადემიური მიზნებისთვის ეფექტურად გამოყენება.

დასკვნის უნარი:
მაგისტრს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; მას აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი; შეუძლია განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული ისე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა. შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.

კომუნიკაციის უნარი:
მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება დარგობრივ სფეროში.

მაგისტრს შეუძლია მაპროფილებელ - ინგლისურ და, არჩევის შემთხვევაში, სხვა ევროპულ ენებზე გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების შინაარსი, შეუძლია დარგობრივი დისკუსიის წარმართვა; სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან; შეუძლია ინფორმაციის სხვადასხვა უცხოენოვანი წყაროს გამოყენება; სხვადასხვა თემებზე თავის აზრებისა და შეხედულებების წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბება; შეუძლია სამეცნიერო ანგარიშის და ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

სწავლის უნარი:
მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით მისი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ღირებულებები:
მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის შედეგების ჩარჩო:

- **ცოდნა და გაცნობიერება:**

1.1	ინგლისური პრაქტიკული ენის მაღალ დონეზე (c1)ცოდნა, რაც გულისხმობს ამ დონის შესაფერის კომპეტენციებს ოთხივე ასპექტში (საუბარი, წერა, კითხვა და მოსმენა); სიღრმისეული ცოდნა ინგლისური ენის ევოლუციისა საერთო გერმანიკული პერიოდიდან თანამედროვე ეპოქამდე, ღრმა ცოდნა იმ საერთო ნიშნებისა, რაც ინგლისურ ენას აერთიანებს ერთის მხრივ გერმანიკულ ენებთან, მეორეს მხრივ კი სხვა ევროპულ	**ინგლისური 1, 2, 3 (სავალდებულო)** **გერმანიკული ენების შედარებითი გრამატიკა (სავალდებულო)** **უცხო ენა 1, 2 (არჩევითი)**

	ენებთან; გერმანიკული ენების გრამატიკის თეორიის შესახებ სრული, ამომწურავი და ღრმა ცოდნა; არჩევის შემთხვევაში, რომელიმე დასავლეთევროპული ენის ცოდნა მინიმუმ B1 დონეზე და უნარი მისი გამოყენებისა როგორც საკვლევი , ისე საკომუნიკაციო მიზნებისათვის	
1.2	ინტერკულტურული კომუნიკაციის საკვანძო ლინგვისტური საფუძვლების სისტემური, ღრმა ცოდნა უნარი ახალი, ორიგინალური გზების მოძიებისა ინტერკულტურული კომუნიკაციასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად;	ინტერკულტურული კომუნიკაციის ლინგვისტური საფუძვლები (სავალდებულო)
1.3	ლიტერატურული ტექსტის კონტექსტში სრული და ადეკვატური აღქმა და ამ მიმართებათა ღრმა, სისტემური და საფუძვლიანი ცოდნა; პრობლემის დასმისა და გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიების უნარი .	ინგლისური ლიტერატურა: ტექსტი და კონტექსტი

მოდული ინგლისური ენის თეორია

1.4	დასავლეთ ევროპის ლინგვისტური აზროვნების ევოლუციის გადამწყვეტი ეტაპების, ლინგვისტურ ცვლილებათა მექანიზმების შესახებ ამომწურავი და ღრმა ცოდნა; ლინგვისტური აზროვნების კონკრეტული ეტაპისათვის დამახასიათებელი კვლევის მეთოდების მიმართება თანამედროვე ლინგვისტურ კვლევის მეთოდებთან.	ლინგვისტური აზროვნების ისტორია (სავალდებულო)
1.5	სემანტიკის შესახებ თეორიული კონცეპციების ღრმა და ამომწურავი ცოდნა; სემანტიკის როგორც მეცნიერების საკვანძო საკითხებისა და მიმართებების სისტემური ცოდნა და აღქმა; სემანტიკური და პრაგმატიკული ტერმინებისა და კვლევის მეთოდების გამიჯვნა და დიფერენციაცია, უნარი სემანტიკასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად ორიგინალური გზის მოძიებისა; სემასიოლოგიური კვლევის მეთოდების ღრმა და სისტემური აღქმა და მათი ადეკვატური	ლექსიკური სემანტიკა (სავალდებულო) სემასიოლოგიური კვლევის მეთოდები (არჩევითი, *ენა და ლექსიკოგრაფიის მოდულიდან)*

	გამოყენება სიტყვის მნიშვნელობის ანალიზისათვის.	
1.6	სოციოლინგვისტიკის როგორც მეცნიერების შესახებ არსებული თეორიული კონცეფციების ღრმა და ამომწურავი ცოდნა; სოციოლინგვისტიკის როგორც მეცნიერების საკვანძო საკითხებისა და ურთიერთმიმართებების სისტემური და ღრმა ცოდნა	**სოციოლინგვისტიკა (სავალდებულო)**
1.7	ტექსტის ზოგადი ნიშნების და ფუნქციონალური თვისებების სისტემური ცოდნა, ტექსტის რელევანტური კატეგორიების ცოდნა და უნარი კონკრეტული კატეგორიის (კერძოდ, პროცესუალობის) სპეციფიკური მახასიათებლების განსაზღვრისა; ტექსიტის ლინგვისტიკის თეორიული საფუძვლის დინამიურობის შესახებ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, უნარი ტექსტში რეალიზებული ენობრივი ერთეულების მიერ ახალი მნიშვნელობების და ახალ ფუნქციონალურ დატვირთვის აღქმისა და ტექსტის ლინგვისტიკასთან დაკავშირებული კონკრეტული თეორიული თუ პრაქტიკული პრობლემის გადაჭრის ახალი გზების მოძიებისა.	ტექსტის ლინგვისტიკა (სავალდებულო)
1.8	პრაგმატიკის როგორც მეცნიერების ტერმინოლოგიური აპარატის, ძირითადი ცნებების, მის მიერ საკვლევი სფეროებისა და მეთოდების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა, დისკურსის ანალიზის შესახებ არსებულ ლინგვისტურ-ფილოსოფიური, სოციო-ლინგვისტური და კოგნიტოლოგიური თეორიებისა და მეთოდების შესახებ სისტემური ცოდნა; უნარი პრაგმატიკასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების შესახებ ორიგინალური გადაჭრის გზებისა და საშუალებების მოძიების უნარი	ლინგვისტური პრაგმატიკა (სავალდებულო) დისკურსის ანალიზი (არჩევითი) პრაგმატიკა და დისკურსი (არჩევითი)
1.9	ინგლისური ენის ისტორიული განვითარების დიალექტიკის, ენის ტიპოლოგიური ცვლილებების მექანიზმის (სინთეზურიდან ანალიზურისაკენ) ღრმა, სისტემური და ყოვლისმომცველი ცოდნა, სინქრონული და დიაქრონული ანალიზის მეთოდებით ოპერირების წესებისა და მეთოდების სისტემური ცოდნა.	ლინგვისტურ ცვლილებათა მექანიზმები (სავალედბულო)

1.10	ბრიტანეთის კულტურის (ხელოვნების, არქიტექტურის, მუსიკის) მნიშვნელოვანი და ძირითადი მომენტების სრულყოფილი, სისტემური ცოდნა, ბრიტანეთის ერების როლის აღქმა საერთო ბრიტანული კულტურის შექმნაში	დიდი ბრიტანეთის კულტურა (წარსული და თანამედროვეობა) არჩევითი, *ბრიტანეთმცოდნეობის მოდულიდან*
1.11	ღრმა, საფუძვლიანი ცოდნა გამონათქვამის გამონათქვამის მნიშვნელობის გადაცემის შესახებ განსხვავებულ სოციალურ კონტექსტში; სისტემური ცოდნა მოსაუბრის მიერ გამოყენებულ სტრატეგიებზე; კოგნიტიურ და ფუნქციონალურ თეორიათა და ცნებათა სისტემური აღქმა, სტრუქტურათა და მოდელთა ურთიერთმიმართებებისა და კავშირების მსგავსება-განსხვავებების შესახებ სისტემური ცოდნა ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაციის პროცესში და მათი მნიშვნელობების ვარირების სამეტყველო ქმედებათა ნაირსახეობებში. მეტაფორის თეორიის უახლესი მიღწევების შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი ცოდნა.	კომუნიკაციური ლინგვისტიკა (არჩევითი) კოგნიტიური და ფუნქციონალური ლინგვისტიკა (არჩევითი) მეტაფორის თეორია (არჩევითი)

ინგლისური ლიტერატურის მოდული

1 .4	ლიტერატურული ტექსტის აღქმის, გაგებისა და ანალიზის მეთოდიკის ღრმა და სისტემური ცოდნა, ჩოსერის, შექსპირისა და ინგლისური რენესანსის პერიოდის სრულყოფილი ცოდნა	ჩოსერი, შექსპირი და ინგლისური რენესანსი
1.5	XX საუკუნის მეორე ნახევრის უმნიშვნელოვანესი დრამატურგების პიესების პრობლემატიკისა და ლიტერატურული მიმდინარეობების ღრმა და სისტემური ცოდნა, ლიტერატურული ტექსტის გაგებისა და ანალიზის მეთოდების ყოვლისმომცველი და ღრმა ცოდნა, კონკრეტული ლიტერატურული პრობლემის ორიგინალურად გადაწყვეტის უნარი	ინგლისური დრამა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (სავალდებულო)
1.6	XVII საუკუნის ინგლისური სალიტერატურო პროცესის ძირითად ტენდენციების ღრმა და სისტემური ცოდნა, ლიტერატურული ტექსტის ადეკვატური აღქმა და დასამუშავებელი მასალის კრიტიკული ანალიზის მეთოდიკის საფუძვლიანი	მილტონი და მისი ეპოქა **(სავალდებულო)**

	ცოდნა,	
1.7	მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისური რომანისტების უმნიშნელოვანესი წარმომადგენლების (მერდოკი, ფაულზი, და ა.შ) ნაწარმოებების პრობლემატიკის ღრმა და სისტემური ცოდნა, მასალის კრიტიკული ანალიზის, შედარების და შეფასების მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა; დასმული პრობლემის შესწავლისათვის მასალების დამუშავების და გადაწყვეტისათვის ორიგინალური გზის დამოუკიდებლად მიგნების უნარ-ჩვევები.	ინგლისური რომანი მეორე მსოფლიო ომის ომის შემდეგ **(სავალდებულო)**
1.8	მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ინგლისური ესეისტების უმნიშნელოვანესი წარმომადგენლების (ელიოტი, ვულფი, ლორენსი, ჰაქსლი და ა.შ) ნაწარმოებების პრობლემატიკის ღრმა და სისტემური ცოდნა, მასალის კრიტიკული ანალიზის, შედარების და შეფასების მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა; დასმული პრობლემის შესწავლისათვის მასალების დამუშავების და გადაწყვეტისათვის ორიგინალური გზის დამოუკიდებლად მიგნების უნარ-ჩვევები.	ინგლისური ესსე (XX ს-ის პირველი ნახევარი) **(სავალდებულო)**
1.9	ლიტერატურული მიმდინარეობის პოეტიკის ღრმა აღქმა და გაცნობიერება, მოდერნისტული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლების შემოქმედების ღრმა და სისტემური ცოდნა, მათი კრიტიკული ანალიზის, შედარების და შეფასების მეთოდიკისა და კრიტერიუმების საფუძვლიანი ცოდნა. დასმული პრობლემის შესწავლისათვის მასალების დამუშავებისა და გადაწყვეტისათვის ორიგინალური გზის დამოუკიდებლად მიგნების უნარ-ჩვევები.	მოდერნისტული რომანის პოეტიკა (სავალდებულო)
	ამერიკული კულტურის, ისტორიის და ლიტერატურის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, ლიტერატურული ტექსტის მხატვრული ანალიზის, შედარების და შეფასების თეორიული ასპექტების სისტემური ცოდნა. დასმული პრობლემის შესწავლისათვის მასალების დამოუკიდებლად მოპოვების და გადაწყვეტისათვის ორიგინალური გზის დამოუკიდებლად მიგნების უნარი.	ამერიკული ლიტერატურა ისტორიულ და ფილოსიფიურ კონტექსტში კოლონიალური პერიოდიდან XIXს. ბოლო მეოთხედამდე (არჩევითი) XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ კონცეფციათა განვითარების დინამიკაში (არჩევითი)
	ფოლკნერის რომანისა და მოდერნიზმის	ფოლკნერის რომანის პოეტიკა

	ურთიერთმიმართების შესახებ ღრმა, საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა; ლიტერატურული ტექსტის ლიტერატურული, კრიტიკული ანალიზის, შედარების და შეფასების თეორიული ცოდნა. დასმული პრობლემის შესწავლისათვის მასალების დამუშავების და გადაწყვეტისათვის ორიგინალური გზის დამოუკიდებლად მიგნების უნარ-ჩვევები.	და მოდერნიზმი

ენისა და ლექსიკოლოგიის მოდული

1.4	სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების შედგენის ლექსიკოგრაფიული პრინციპების ღრმა და სისტემური აღქმა. აღნიშნული მოიცავს: მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებულ ლექსიკოგრაფიულ პრინციპებს განმარტებითი, თარგმნითი, დარგობრივი, ფრაზეოლოგიური, სლენგური და სხვა ტიპის ლექსიკონების შესადგენად.	ლექსიკონები და ლექსიკოგრაფიული პრინციპები **(სავალდებულო)**
1.5	ქართული და ინგლისური ლექსიკოგრაფიის ძირითადი ეტაპებისა და ნაწარმოებების ღრმა და სისტემური აღქმა.	ქართული და ინგლისური ლექსიკოგრაფიის ისტორია (სავალდებულო)
1.6	სიტყვა-სტატიის ყოველი კომპონენტის გამოკვლევის მეთოდების ღრმა და სისტემური აღქმა და მათი ადეკვატური გამოყენება დასამუშავებელი მასალის კრიტიკული ანალიზის დროს. სიტყვის დაწერილობის, წარმოთქმის, გრამატიკული მახასიათებლების, სემანტიკური სტრუქტურის, პოლისემანტური მნიშვნელობების, ფრაზეოლოგიური ერთეულების, დროითი, სტილისტიკური, რეგიონალური კვალიფიკაციების დადგენისათვის საჭირო სისტემური თეორიული ცოდნა; სიტყვა-სტატიის სტრუქტურის, მისი ძირითადი კომპონენტების სისტემური ცოდნა, როგორც ზოგადი, ისე ტერმინოლოგიური ლექსიკისათვის.	პრაქტიკული კურსი ინგლისურ-ქართულ ზოგად ლექსიკოგრაფიაში 1, 2 **(სავალდებულო)** პრაქტიკული კურსი ინგლისურ-ქართულ სპეციალიზებულ ლექსიკოგრაფიაში **(სავალდებულო)**
1.7	სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის თემატიკასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხების ღრმა ცოდნა; კომპონენტური ანალიზის მეთოდის, დეფინიციათა ანალიზის მეთოდის, კონტექსტუალური ანალიზისა და სხვა მეთოდების გამოყენება სიტყვის მნიშვნელობის, მისი პოლისემიის, ეტიმოლოგიის, სტილისტური შეფერილობისა თუ სხვა მახასიათებლების გასახსნელად და სიღრმისეულად	სემასიოლოგიური კვლევის მეთოდები (სავალდებულო)

	გასაანალიზებლად;	
1.8	ქართული და რუსული ენების სტრუქტურების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა	**ქართული ენის პრაქტიკუმი1, 2, (არჩევითი)** რუსული ენის პრაქტიკული კურსი 1 **, 2(არჩევითი)**
1.9	სოციოლინგვისტიკის როგორც მეცნიერების შესახებ თეორიული კონცეფციების ღრმა და ამომწურავი ცოდნა; სოციოლინგვისტიკის როგორც მეცნიერების საკვანძო საკითხებისა და ურთიერთმიმართებების სისტემური და ღრმა ცოდნა; პრაგმატიკის როგორც მეცნიერების ტერმინოლოგიური აპარატის, ძირითადი ცნებების, მის მიერ საკვლევი სფეროებისა და მეთოდების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა, უნარი პრაგმატიკასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების შესახებ მოიძიოს ორიგინალური გადაჭრის გზები და საშუალებები, უნარი მიღებული ცოდნა გამოიყენოს შემდგომ პრაქტიკულ და სამეცნიერო საქმიანობაში	**სოციოლინგვისტიკა** **(არჩევითი)** **ლინგვისტური პრაგმატიკა (არჩევითი)**

ბრიტანეთმცოდნეობის მოდული

1.4	ინგლისის ისტორიის მნიშვნელოვანი და ძირითადი მომენტების სრულყოფილი ცოდნა, ინგლისის როლისა და ფუნქციის შემეცნება საერთო ბრიტანული ისტორიის შექმნაში	**ინგლისის ისტორია (მოკლე კურსი)** **(სავალდებულო)**
1.5	თანამედროვე ბრიტანული საზოგადოებისა და ბრიტანეთის თანამედროვე საზოგადოებრივი ინსტიტუტების განვითარებისა და ფუნქციონირების საკვანძო მომენტების ღრმა, საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა, კონკრეტული პრობლემური საკითხის ინტერპრეტაცია, განზოგადება და მისი ორიგინალური გზით გადაჭრის უნარი.	თანამედროვე ბრიტანეთის საზოგადიება და საზოგადოებრივი ინსტიტუტები; (სავალდებულო)
1.6	ღრმა და ყოვლისმომცველი ცოდნა ქართულ-ბრიტანული კულტურული ურთიერთობის ისტორიის შესახებ, სისტემური ცოდნა ქართულ-ბრიტანული ისტორიულ-კულტურული, ლიტერატურული და თეატრალური კავშირების შესახებ. კონკრეტული თეორული თუ პრაქტიკული პრობლემის ორიგინალური და საინტერესო გზით გადაჭრის უნარი	ბრიტანულ-ქართული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობები (სავალდებულო)
1.7	დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური განვითარების, მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკვანძო საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა;	**თანამედროვე ბრიტანეთის პოლიტიკა**

	დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ინსტიტუტების არსისა და მათი ფუნციონირების ძირითადი საკითხების ცოდნა და მათი სისტემურობის თეორიული განხილვის უნარი საფუძვლიანი ცოდნა დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური განვითარების ძირითადი კონცეფციებისა და პრინციპების შესახებ; დიდი ბრიტანეთის საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის პრინციპებისა და პრიორიტეტების შესახებ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა	(სავალდებულო) დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური პოლიტიკა (სავალდებულო)
1.8	ბრიტანეთის კულტურის (ხელოვნების, არქიტექტურის, მუსიკის) მნიშვნელოვანი და ძირითადი მომენტების სრულყოფილი, სისტემური ცოდნა, ბრიტანეთის ერების როლისა და ფუნქციის ღრმა და სისტემური ცოდნა საერთო ბრიტანული კულტურის შექმნაში, კონკრეტული კულტურულად მარკირებული ფაქტის მნიშვნელობის შესახებ საინტერესო, ორიგინალური იდეის მიგნების უნარი	დიდი ბრიტანეთის კულტურა (წარსული და დღევანდელობა)
1.9	საფუძვლიანი ღრმა და სისტემური ცოდნა ევროპის ისტორიის, კავკასიის რეგიონის ტრანსფორმაციული პროცესებისა და კულტურისა და იდენტობის შესახებ; ქალი-მისტიკოსებისა და შუა საუკუნეების ევროპული მენტალობის, გენდერული პოლიტიკის შესახებ	ევროპის ისტორია. XX საუკუნე,დისინტერგრაციიდან ევროპულ ინტეგრაციამდე (არჩევითი); ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში ((არჩევითი) კულტურა და იდენტობა (არჩევითი) გენდერი და ვიზუალური ხელოვნება (არჩევითი) ქალი მისტიკოსები და შუა საუკუნეების ევროპული მენტალობა (არჩევითი)

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

პროგრამისთვის საერთო კომპეტენციები

2.1	ინტერკულტურული კომუნიკაციის თეორიული პერსპექტივის ლინგვისტური შეფასების, სინთეზირებისა და დისკუსიის უნარი სხვადასხვა თეორიული თვალთახედვიდან; დასმული პრობლემის გადაწყვეტის	**ინტერკულტურული კომუნიკაციის ლინგვისტური საფუძვლები** (სავალდებულო); **ინგლისური ლიტერატურა: ტექსტი და კონტექსტი** (სავალდებულო)

	ორიგინალური გზის დამოუკიდებლად მიგნების უნარი. სამეცნიერო ინტერესთა სფეროს შერჩევისა და სამეცნიერო კვლევის წარმართვის უნარი ზოგადად, კვლევების ასპექტებიდან, კერძოდ, არჩეული მოდულის პერსპექტივიდან ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიული მოვლენებისა და პროცესების არსის და გენეზისის წვდომა და კრიტიკული შეფასება, მათი ანალიზი თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენებით; ინგლისური ენის პრაქტიკული გამოყენება (C1) მთელი რიგი წერილობითი და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ენის ეფექტურად გამოყენების უნარი; საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის, ნათლად, სტრუქტურირებულად ჩამოყალიბების, არგუმენტირებისა და განმარტებების ნათლად გადმოცემის უნარი. ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედებია; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებისა და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;	**გერმანიკული ენების შედარებითი გრამატიკა** (სავალდებულო) **ინგლისური ენა** 1, 2, 3 (სავალდებულო)

არჩევითი მოდულის კომპეტენციები:
ინგლისური ენის თეორიის მოდული

2.2	ლინგვისტური (საენათმეცნიერო და ლიტერატურული) მასალის ანალიზის, შედარების, სინთეზირების და შეფასების უნარი სხვადასხვა თეორიული (ლექსიკური სემანტიკის, პრაგმატიკის, სოციოლინგვისტიკის, ტექსტის ლინგვისტიკის, ლიტერატურათმცოდენობის, მეტაფორის თეორიის) თვალთახედვიდან; დასმული პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალური	დასავლეთ ევროპის ლინგვ. აზროვნების ისტორია (სავალდებულო); ლექსიკური სემანტიკა (სავალდებულო); სოციოლინგვისტიკა (სავალდებულო); ტექსტის ლინგვისტიკა (სავალდებულო); ლინგვისტური პრაგმატიკა (სავალდებულო); ლინგვისტურ ცვლილებათა მექანიზმები (სავალდებულო); კომუნიკაციური ლინგვისტიკა (არჩევითი);

	გზის დამოუკიდებლად მიგნებისა და პრობლემატიკაზე მსჯელობის უნარი. ლინგვისტური და ლიტერატურული ფაქტების ეფექტური სინთეზური ანალიზისა და ადეკვატური დასკვნების მიღების უნარი; ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობაში არსებული თანამედროვე მეთოდების გამიჯვნისა და კონკრეტული პრაქტიკული ანალიზისათვის რელევანტური მეთოდიკის შერჩევის უნარი.	დისკურსის ანალიზი (არჩევითი); კოგნიტიური და ფუნქციონალური ლინგვისტიკა (არჩევითი); პრაგმატიკა და დისკურსი (არჩევითი); მეტაფორის თეორია (არჩევითი) ჩოსერი, შექსპირი და ინგლისური რენესანსი (სავალდებულო); ინგლისური დრამა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (სავალდებულო); XVIIს. ინგლისის რევოლუციური ეპქა და მილტონი (სავალდებულო); ინგლისური რომანი მეორე მსოფლიო ომის ომის შემდეგ (სავალდებულო); ინგლისური ესსე (XX ს-ის პირველი ნახევარი) (სავალდებულო); მოდერნისტული რომანის პოეტიკა (სავალდებულო); XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ კონცეფციათა განვითარების დინამიკაში (არჩევითი); ამერიკული ლიტერატურა ისტორიულ და ფილოსიფიურ კონტექსტში კოლონიალური პერიოდიდან XIXს. ბოლო მეოთხედამდე (არჩევითი); ფოლკნერის რომანის პოეტიკა და მოდერნიზმი (არჩევითი)

ინგლისური ლიტერატურის მოდული

2.2	ინგლისური ლიტერატურის საკუთესო ნიმუშების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა მათი ლინგვისტური და სოციოკულტურულ კონტექსტში გააზრებით. ღრმა და ამომწურავი ცოდნა როგორც ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსების (ჩოსერის, შექსპირის, მილტონის),	ჩოსერი, შექსპირი და ინგლისური რენესანსი (სავალდებულო); ინგლისური დრამა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (სავალდებულო); XVIIს. ინგლისის რევოლუციური ეპქა და მილტონი (სავალდებულო); ინგლისური რომანი მეორე მსოფლიო ომის ომის შემდეგ (სავალდებულო); ინგლისური ესსე (XX ს-ის პირველი ნახევარი) (სავალდებულო); მოდერნისტული რომანის პოეტიკა (სავალდებულო);

	ასევე მოდერნისტული ლიტერატურისა და, უახლესი ლიტერატურული პროცესის შესახებ. ლინგვისტური და ლიტერატურული მასალის ანალიზის, შედარების, სინთეზირების და შეფასების უნარი სხვადასხვა თეორიული თვალთახედვიდან, დასმული პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალური გზის დამოუკიდებლად მიგნებისა და პრობლემატიკაზე მსჯელობის უნარი. ლინგვისტური და ლიტერატურული ფაქტების ეფექტური სინთეზური ანალიზისა და ადეკვატური დასკვნების მიღების უნარი; ლიტერატურათმცოდნეობაში არსებული თანამედროვე მეთოდების გამიჯვნისა და კონკრეტული პრაქტიკული ანალიზისათვის რელევანტური მეთოდიკის შერჩევის უნარი.	XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ კონცეფციათა განვითარების დინამიკაში (არჩევითი); ამერიკული ლიტერატურა ისტორიულ და ფილოსიფიურ კონტექსტში კოლონიალური პერიოდიდან XIXს. ბოლო მეოთხედამდე (არჩევითი); ფოლკნერის რომანის პოეტიკა და მოდერნიზმი (არჩევითი)

ენისა და ლექსიკოგრაფიის მოდული

2.2	სემასიოლოგიური კვლევის მეთოდების ეფექტური გამოყენება სალექსიკონო სიტყვა-სტატიის აგებისათვის; სიტყვის მნიშვნელობის ანალიზისათვის წამოჭრილი კომპლექსური პრობლემის გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება და კვლევის განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების შედგენის	ლექსიკონები და ლექსიკოგრაფიული პრინციპები (სავალდებულო); პრაქტიკული კურსი ინგლისურ-ქართულ ზოგად ლექსიკოგრაფიაში (სავალდებულო)

	ლექსიკოგრაფიული პრინციპების, სიტყვა-სტატიის კომპონენტების ლინგვისტური მახასიათებლების ანალიზის, შედარების, სინთეზირების და შეფასების უნარი სხვადასხვა თეორიული თვალთახედვიდან; სიტყვა-სტატიის დამოუკიდებლად შედგენის, ან რედაქტირების უნარი როგორც დიდი ფილოლოგიური ინგლისურ-ქართული ლექსიკონისათვის, ასევე სასწავლო თუ დარგობრივი ინგლისურ-ქართული ლექსიკონისათვის.	პრაქტიკული კურსი ინგლისურ-ქართულ სპეციალიზებულ ლექსიკოგრაფიაში (სავალდებულო) სემასიოლოგიური კვლევის მეთოდები (სავალდებულო)
2.3	ქართული და რუსული ენების ეფექტური პრაქტიკული გამოყენების უნარი საკვლევი და საკომუნიკაციო მიზნებისათვის; თარგმანთან დაკავშირებულ პრობლემატიკის ანალიზის, შედარების, სინთეზირების და შეფასების უნარი სხვადასხვა თეორიული თვალთახედვიდან;	ქართული ენის პრაქტიკუმი 1, 2 (არჩევითი) რუსული ენის პრაქტიკული კურსი (1, 2) (არჩევითი)

ბრიტანეთისმცოდნეობის მოდული
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

2.2	მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკურ პროცესებში დიდი ბრიტანეთის ადგილისა და როლის შეფასების უნარი; დიდი ბრიტანეთის ძირითადი ეკონომიკური და პოლიტიკური სფეროების სფეროების, კულტურის, ისტორიის ფაქტების ინტერპრეტაციის, შედარებისა და ანალიზის უნარი; დიდი ბრიტანეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებზე მსჯელობის, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების დასმის, ინტერპრეტაციისა და არგუმენტურებული ანალიზის უნარი; კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ ანალიზისა და სინთეზირების უნარი; დასმული პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალური გზის დამოუკიდებლად მიგნების უნარი.	დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური პოლიტიკა (სავალდებულო) თანამედროვე ბრიტანეთის პოლიტიკა (სავალდებულო); ინგლისის ისტორიის მოკლე კურსი (სავალდებულო) ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში (არჩევითი); ევროპის ისტორია.XX საუკუნე. დისიტეგრაციიდან ევროპულ ინტეგრაციამდე (არჩევითი);
2.3	ქართულ- ინგლისურ ლიტერატურულ და კულტურული ურთიერთობების, ბრიტანული კულტურის, კულტურისა და იდენტობის, გენდერული პრობლემატიკის ანალიზის, ინტერპრეტაციისა და სინთეზირების უნარი, დასმული პრობლემის ორიგინალური გზით გადაჭრის უნარი	თანამედროვე ბრიტანეთის საზოგადოება და საზოგადოებრივი ინსტიტუტები (სავალდებულო); ბრიტანეულ-ქართული კულტურული და ლიტერატურული

		ურთიერთობები (სავალდებულო); დიდი ბრიტანეთის კულტურა(წარსული და დღევანდელობა) (სავალდებულო); კულტურა და იდენტობა (არჩევითი) გენდერი ვიზუალურ ხელოვნებაში (არჩევითი)

- **დასკვნის უნარი:**

მაგისტრს აქვს ინგლისური ენის თეორიის, ინგლისური ლიტერატურის, ენისა და ლექსიკოგრაფიისა და ბრიტანეთისმცოდნეობის თანამედროვე მიმართულებებისა და განვითარების ტენდენციების შესახებ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი, თეორიულ დებულებებზე დაყრდნობით და პრაქტიკული დემონსტრირებით. მისთვის რელევანტურ სფეროში ანალიტიკური უნარი; არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; შეუძლია დასამუშავებლად მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი დარგობრივ სფეროში მიღებული მეთოდების გამოყენებით. პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი.

- **კომუნიკაციის უნარი:**

მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება დარგობრივ სფეროში.დასკვნებისა და არგუმენტების ეფექტური წარდგენის უნარი როგორც პროფესიული , ისე არაპროფესიული პუბლიკის წინაშე მშობლიურ და ინგლისურ ენებზე უახლესი მულტიმედიის საშუალებების გამოყენებით.
მაგისტრს შეუძლია მაპროფილებელ ინგლისურ (არჩევის შემთხვევაში, სხვა ევროპულ) ენაზე გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, შეუძლია დარგობრივი დისკუსიის წარმართვა; სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან; შეუძლია ინფორმაციის სხვადასხვა უცხოენოვანი წყაროს გამოყენება; სხვადასხვა თემებზე თავის აზრებისა და შეხედულებების წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბება; შეუძლია სამეცნიერო ანგარიშის და ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

- **სწავლის უნარი:**

მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების

უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით მისი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

- **ღირებულებები:**

მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას.
მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; ინტერკულტურული კომუნიკაციის, კულტურათშორისი მიმართებებისა და ლიტერატურის ჰუმანისტური ღირებულებების კრიტიკული აღქმა და ანალიზი ქართული კულტურის თვალთახედვიდან, პოზიტიური, არასტერეოტიპული, შემოქმედებითი აზროვნების დამკვიდრებაში საკუთარი წვლილის შეტანის უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, დასკვნითი გამოცდის, **სამაგისტრო** ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.). პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის ფორმატი და სწავლების მეთოდი მითითებულია ამ დისციპლინის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი, C; 61-70– დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

დასაქმების სფეროები:
აღნიშნული დარგობრივი ცოდნით, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარით და ზოგად ტრანსფერული უნარებით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ანგლისტიკის** სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ეძლევა შესაძლებლობა თავისი პროფილის მიხედვით დასაქმდეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში; აგრეთვე, სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, ტურისტულ ფირმებში, სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულ იქნება მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის; ამავდროულად, ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში მაგისტრის ხარისხი სტუდენტებს კარიერული წინსვლის შესაძლებლობას აძლევს. ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი შესაძლებელია აგრეთვე თავისი პროფილით დასაქმედეს პედაგოგიურ სექტორში (შესაბამისი დამატებითი პედაგოგიური პროგრამის გავლისა და მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში); ასევე თარჯიმნებად, რისი მოთხოვნილებაც დღევანდელი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებობს. უფრო კონკრეტულად:
ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი (ინგლისური ენის თეორიისა ან ინგლისურის ლიტერატურის მოდულის დასრულების შემდეგ) შეიძლება დასაქმდეს : სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში; ინგლისურენოვან გაზეთებსა და ჟურნალებში რედაქტორებად, ტელევიზიებში მთარგმნელებად, ანალიტიკოსებად, კორესპონდენტებად. საელჩოებში, სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში თარჯიმნებად, ექსპერტ-ანალიტიკოსებად, რეფერენტებად.
ლექსიკოგრაფიის მაგისტრი (ენისა და ლექსიკოგრაფიის მოდულის დასრულების შემდეგ) შეიძლება დასაქმდეს: საუნივერსიტეტო ლექსიკოგრაფიულ ცენტრში, გამომცემლობებში, შეუძლია დამოუკიდებლად იმუშაოს საკუთარ ლექსიკოგრაფიულ პროექტზე, ხელი მოჰკიდოს მთარგმნელობით საქმიანობას.
ბრიტანეთისმცოდნეობის სპეციალობის მაგისტრი (ბრიტანეთისმცოდნეობის მოდულის დასრულების შემდეგ) შეიძლება დასაქმდეს: საგარეო საქმეთა სამინისტროში; საელჩოებში; სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში; კერძო სექტორსა და ბიზნეს სტრუქტურებში; არასამთავრობო ორგანიზაციებში; მასმედიასა და საინფორმაციო ცენტრებში; საერთაშორისო ორგანიზაციებში.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფ. მანანა რუსიეშვილი. მოდულის ხელმძღვანელები: მოდული „ინგლისური ენის თეორია“ - ასოც. პროფ. ნინო დარასელია; მოდული „ინგლისური ლიტერატურა - სრული პროფესორი მანანა გელაშვილი; მოდული „ენა და ლექსიკოგრაფია“ - ასოც. პროფესორი თინათინ მარგალიტაძე; მოდული „ბრიტანეთისცოდნეობა“ - სრული პროფესორი მანანა რუსიეშვილი. (ბრიტანეთისმცოდნეობის მოდულის ფორმირებისას ასოც. პროფ. თინა მარგალიტაძისგან მიღებულ იქნა ფასეული კონსულტაციები)

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

პროგრამაში მონაწილეობას იღებს ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების აკადემიური პერსონალი: სრული პროფესორები მანანა რუსიეშვილი და მანანა გელაშვილი; ასოცირებული პროფესორები თინათინ მარგალიტაძე, რუსუდან დოლიძე, გიორგი ყუფარაძე, ნინო დარასელია, ციცინო ხვედელიძე, ნათია ნემსაძე (იხილეთ CV) ასევე მოწვეული პერსონალი.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური

რესურსების შესახებ:
თსუ ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრის ბიბლიოთეკა, ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის რესურს-ცენტრი (თსუ 5 კორპუსი), ასევე საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის რესურს–ცენტრი და თსუ ბრიტანული ბიბლიოთეკა (თსუ მე–2 კორპუსი).

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ანგლისტიკის** სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ–მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების პროგრამის წიგნადი ფონდის გამდიდრება ხდება სხადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ინსტიტუციებთან პროფესურის აკადემიური კონტაქტების საფუძველზეც (დეტალური ინფორმაცია იხ. 4.1 პუნქტში).